დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების რიცხვითი რეალიზაცია ცარიელფორებიანი წრისათვის

ივანე ცაგარელი

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განსახილველ ნაშრომში ამოხსნილია სტატიკის ბრტყელი სასაზღვრო ამოცანები ცარიელფორებიანი დრეკადი წრისათვის. ელემენტარული ფუნქციების გამოყენებით აგებულია ძირითადი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ზოგადი ამონახსნის სპეციალური წარმოდგენა. ამოცანათა ამონახსნები მიღებულია ცხადად, აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით. გამოკვლეულია განსახილველ ამოცანათა ამონახსნის ერთადერთობის საკითხი. კონკრეტული სასაზღვრო ამოცანისათვის შედგენილია გამოთვლის პროგრამა და მიღებულია რიცხვითი შედეგები.